



საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC),
სამხრეთ კავკასიური მილსადენის(SCP) და
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP)
ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI)**

2014 წლის იანვარი-მარტი

BP-ის ბიზნესსაქმიანობა საქართველოში

BP საქართველოში 1996 წლიდან იმყოფება. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჩვენ მიერ ოპერირებული მილსადენების საშუალებით ენერჯის უსაფრთხო ტრანსპორტირება და მიწოდებაა. ამ დარგში ჩვენ წამყვანი ინვესტორი და ოპერატორი ვართ ნავთობისა და გაზის სამ მსხვილ პროექტში:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) ექსპლუატაცია 2006 წლის ივნისში დაიწყო. BTC მილსადენი, რომლის მთლიანი სამშენებლო ღირებულება დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია. სრული წარმადობით მილსადენს საერთაშორისო ბაზრებისთვის დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მიწოდება შეუძლია, რაც მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP)

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს ბაზრებისთვის მიწოდება 2006 წლის დეკემბერში, ხოლო თურქეთში 2007 წლის ივლისში დაიწყო. გაზსადენი რეგიონის გაზმომარაგების ახალ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც აგრეთვე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ჩვენმიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. ამ 830 კმ სიგრძის მილსადენით ნავთობი კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან, აზერბაიჯანის

სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში მდებარე სუფსის ტერმინალს მიეწოდება. მილსადენის მთლიანი მარშრუტის თითქმის ნახევარი საქართველოში მდებარეობს. WREP-ს, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, დღეში 100 ათასამდე ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.

BP საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) მიმოხილვა

პროგრამა BTC/SCP მილსადენების ახლომდებარე სოფლებში

CDI-ს განხორციელება საქართველოში დაიწყო 2003 წლის დასაწყისში, SCP და BTC მილსადენების მარშრუტის ახლომდებარე 77 დასახლებაში. თავდაპირველად, პროგრამას ეწოდებოდა „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა 1“ (CIP 1), ხოლო მოგვიანებით ეს დასახელება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივით (CDI) შეიცვალა.

CDI 1

მილსადენების მშენებლობის ეტაპზე CDI 1-ის მიზანი იყო BP-სა და მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით.

მილსადენების მშენებლობის პერიოდში პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი სამი წლის განმავლობაში (2003-2006 წწ.) 8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მსგავსი პროგრამები აზერბაიჯანისა და თურქეთისთვისაც შეიქმნა.

BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ (2006 წელი), BP-მ, როგორც BTC და SCP მილსადენების ოპერატორმა, CDI-ის მე-2 ფაზის დაფინანსება კიდევ 3 წლით (2006-2009წწ) გააგრძელა, რომლის მიზანი BTC/SCP მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება იყო.

CDI 2

CDI-ს II ფაზა (CDI 2), ზოგადად, მიზნად ისახავდა BP-სა და BTC/SCP მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავებას, იმ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერის გზით, რომელიც მზად არის გახდეს საზოგადოების მდგრადი განვითარების მაგალითი. პროგრამის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება, რათა მათ განახორციელებინათ პროექტები და უზრუნველყუთ მათი მდგრადობა, მინიმალური საგარეო დახმარებით, პროგრამის ფარგლებში უნდა გაზარდილიყო და გაუმჯობესებულიყო მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და შესაძლებლობები, მათი BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე.

2008 წლის დასაწყისში მიმდინარე საქმიანობასთან ერთად, დაიწყო CDI 2-ის მარკეტინგული კომპონენტის – პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ (FtM) განხორციელება. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო წერილი ფერმერების დახმარება მათთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში, როგორცაა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოხვედრა გასაღების ბაზარზე.

პროექტის საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი იყო სამწლიანი პერიოდის (2008-2011წწ) განმავლობაში და პროექტის მთლიანი ბიუჯეტი იყო 520 ათასი აშშ დოლარი. 2011 წლის დასაწყისში, პროექტის ბიუჯეტში თანხების დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, კიდევ ოთხი თვით, 2011 წლის ივნისის ბოლომდე. მოგვიანებით, თანხების კვლავ დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე, დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად, პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი თანხების ფარგლებში.

BP-ისა და მისი აქციონერების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში, რომლის მიზანია სამი მილსადენის (BTC/SCP/WREP) პროექტის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა და, აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა საქართველოში BTC/SCP და WREP მილსადენების ახლოს 2009 წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

CDI 3

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზა (CDI 3) 2010 წლის მაისში BTC და SCP მილსადენების სიახლოვეს დაიწყო პროგრამის წამყვანმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ქეა საერთაშორისო“. CDI 2-დან CDI 3-ზე შეუფერხებელი გადასვლა მოხერხდა CDI 2-ის რამდენიმე კომპონენტის გაგრძელებით, პროექტის ახალი ფაზის დაწყებამდე.

„ქეა საერთაშორისოს“ მიერ CDI 3-თან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადება, როგორც კომპანიის შიგნით BTC/SCP ჯგუფის მიერ, ასევე საქართველოში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა განხილული. ამ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ევროკავშირი (EU) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო სამხრეთ კავკასიაში (SDC).

2010 წლის მაისში ხელი მოეწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას ორგანიზაციასთან „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რომელიც განახორციელებდა პროგრამას ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრთან“ (CTC) და ბანკ „კონსტანტასთან“ (მიკროსესხები) ერთად. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის იანვრის ბოლო, ხოლო მთლიანმა ბიუჯეტმა 1,865,081 აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის ბიუჯეტის თანხების დაზოგვის გამო, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის დასასრულებლად, პროგრამა გაგრძელდა დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე, ორი თვით, 2012 წლის მარტის ბოლომდე.

პროგრამის მესამე ფაზის მიზანი იყო, მდგრადი სოციალური და ეკონომიური განვითარების ხელშეწყობის გზით, მიღსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური და ჰარმონიული ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. ქვეყნის სპეციფიკის, ასევე პროგრამის I და II ფაზების ფარგლებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო პროექტების ყველაზე შესაფერის ორ ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დასახელდა.

პროექტის განხორციელების პირველი თვეების განმავლობაში, „ქეამ“ შეისწავლა იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები, რომლებიც შეძლებდნენ საკუთარ თავზე აეღოთ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობა, CDI 3-ის მეორე წლის განმავლობაში. კერძოდ, ეს კომპონენტები იყო: სოფლის მეურნეობის დარგში საკონსულტაციო მომსახურება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისთვის საჭიროსაქმიანობების შესრულება. „ქეა საერთაშორისომ“ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია: “რეგიონული განვითარების ასოციაცია” შეირჩა დასავლეთის სექტორში, ხოლო “ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრს” დაევალა სამუშაოების ჩატარება აღმოსავლეთ სექტორში.

მე-3 ფაზის დაწყებიდან რვა თვის შემდეგ, „ქეამ“ დაიწყო აღნიშნული კომპონენტების გადაცემა შერჩეული ორგანიზაციებისათვის, თუმცა თავად ასრულებდა დამკვირვებლის და კონსულტანტის ფუნქციას. პროგრამის მიმდინარეობის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

CDI 3-ის დასასრულს, პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობა შეფასდა საგარეო შემფასებლების მიერ.

მოსახლეობასთან უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობის და დადებითი ზემოქმედების თვალსაზრისით უკვე მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად, აგრეთვე კომპანიის ბიზნესსაქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის და ქვეყნის მასშტაბით კომპანიის რეპუტაციის განსამტკიცებლად, დაიგეგმა „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მე-4 ფაზა.

საგარეო შემფასებლების დასკვნითი ანგარიშის თანახმად, სამომავლოდ „ნაციონალიზაციის“ სტრატეგიის განხორციელების პროცესი მართებულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული. ამავე შეფასების მიხედვით, დადგინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს – CTC-ს და RDA-ს შესწევდათ უნარი განახორციელებინათ პროგრამის მომდევნო ფაზა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ ორგანიზაციებს წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI 4-ის განხორციელების შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა – მე-4 ფაზა

2012 წლის მარტში, „BP საქართველომ“ შესთავაზა CTC-სა და RDA-ს, რომ მათ წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI-ის მე-4, სამწლიანი ფაზის განხორციელების შესახებ (CDI 4).

CDI 4-ის განხორციელების სატენდერო წინადადებები განხილულ იქნა როგორც კომპანიის შიგნით, BTC და SCP-ის პასუხისმგებელი პირების მიერ, ისე საგარეო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელშიც შედიან საქართველოში მოქმედი ზოგიერთი ძირითადი დონორი ორგანიზაციის – ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის (SDC) - წარმომადგენლები.

განხილვამ აჩვენა, რომ ორივე ორგანიზაციის წინადადებები შეესაბამებოდა CDI4-ის მიზნებს და შესაძლებელი იყო, რომ CTC-ს პროგრამა განხორციელებინა აღმოსავლეთ რეგიონში, ხოლო RDA-ს – დასავლეთ რეგიონში. პროგრამის მე-4 ფაზის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2012 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე, ხოლო მთლიანი ბიუჯეტი 3,318,975 აშშ დოლარს შეადგენს.

ზოგადად, პროგრამის მე-4 ფაზის ამოცანებია: პოზიტიური ურთიერთობის გაღრმავება კომპანიასა და BP-ის მილსადენების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის, რაც მიიღწევა მდგრადი განვითარების პროექტებში ინვესტირების და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: დახმარება სოფლის მეურნეობის სფეროში, ბიზნესის ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარება, მდგრად შედეგებზე გათვლილი საქმიანობის ხელშეწყობის გზით, სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აგრეთვე სათემო ორგანიზაციების მიერ სოციალური საწარმოების შექმნა.

CDI 4-ის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმების და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რეგიონალური აგრობიზნესის ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესების შექმნა, საქონლისა და მომსახურების მიწოდების მიზნით.

2013 წლის დეკემბერში, პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის კომპონენტის გაფართოების მიზნით, დაიწყო სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პილოტური პროექტების განხორციელება.

ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივა სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტისთვის (CDI SCPX)

სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის განხორციელება, კონსორციუმში შემავალი პარტნიორების სახელით, დაიწყო BP-მ, როგორც სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) ოპერატორმა. პროექტის მიზანია

არსებული სამხრეთ კავკასიური მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა, რათა მოხდეს დამატებითი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის შაჰ-დენიზის საბადოდან.

BP, კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად, თავისი საქმიანობით დაკავშირებულია **SCPX**-ის სამშენებლო ტერიტორიებთან ახლომდებარე დასახლებებთან. შესაბამისად, კომპანიამ გადაწყვიტა დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა **SCPX**-ის სამშენებლო დერეფანში მდებარე სოფლებისთვის - **CDI SCPX**.

CDI SCPX იმეორებს იმავე პროგრამულ მოდელს, რომელიც პროგრამის წინა ფაზებში იყო გამოყენებული. კერძოდ მის ძირითად სტრატეგიად კვლავ რჩება სამიზნე ტერიტორიებზე ძლიერი სოციო-ეკონომიკური პლატფორმის შექმნა, რათა უკეთესი გარემო შეიქმნას დასახლებების მდგრადი განვითარებისთვის და, შესაბამისად, განმტკიცდეს **BP**-ის საზოგადოებრივი იმიჯი როგორც პროგრამის განხორციელების არეალში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

CDI SCPX დაიწყო 2013 წლის მაისში და გაგრძელდება 2015 წლის მაისის ბოლომდე. აღმოსავლეთ ნაწილში პროექტის სამიზნე ტერიტორიები მოიცავს გარდაბნის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონების თორმეტ ახალ სოფელს, რომლებიც პროგრამის სამიზნე სოფლებს ადრე არ წარმოადგენდნენ. დასავლეთ ნაწილში პროექტი მუშაობა დაიქცო ხუთ ახალ სოფელში, რომლებიც ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მდებარეობს. პროექტის სამიზნე ტერიტორიების ფარგლებში ასევე მოექცა ქალაქ რუსთავის მე-18, მე-19 მიკრორაიონების 8 საცხოვრებელი კორპუსი. აღმოსავლეთ ნაწილში, პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია ტრენინგების და კონსულტაციების ცენტრი (**CTC**), დასავლეთ ნაწილში – რეგიონული განვითარების ასოციაცია (**RDA**), ხოლო რუსთავის მიკრორაიონებში – საქართველოს სკაუტური მოძრაობა. **CDI SCPX**-ის მთლიანი ბიუჯეტია 687,000 აშშ დოლარი.

პროგრამის მართვა და კოორდინაცია

CDI პროგრამების მართვა ხორციელდება კომპანიის თბილისის ოფისში მოქმედი სოციალური პასუხისმგებლობის ჯგუფის მიერ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მონიტორინგს და შეფასებას ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მრჩეველის სამუშაო დრო მთლიანად ეთმობა. ის სისტემატურად მონაწილეობს საველე საქმიანობაში, ამოწმებს ყოველთვიურ, კვარტალურ, წლიურ და დასკვნით ანგარიშებს, აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და სხვა სოციალურ ქვეკონტრაქტებს, აღრიცხავს შესაბამის ინვოისებს, უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა და პროცედურები **BP**-ის პრინციპებს მიესადაგებოდეს და რომ პარტნიორმა ორგანიზაციებმა განუხრელად დაიცვან **BP**-ის ქცევის კოდექსი და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, რომლის მიხედვით, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ

ქცევის კოდექსის სრული დაცვით, როცა სამუშაოს BP-ის სახელით ასრულებენ.

CDI მრჩეველი ექვემდებარება სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერს.

პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები BP-ის წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებშიც შეჯამებულია საანგარიშო თვეში ჩატარებული სამუშაოები და განსაზღვრულია მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები და მათი გადაჭრის გზები. ყოველ კალენდარულ კვარტალში წარმოდგენილ ანგარიშებში უფრო სიღრმისეულად არის გაშუქებული ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. წლიურ ანგარიშში ძირითადი ყურადღება ეთმობა შედეგებს, მონიტორინგსა და შეფასებას, პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს და ა.შ. დასკვნით ანგარიშში ხაზგასმულია მიღწევები და ამ მიღწევებით გამოწვეული შედეგები, ასევე მოცემულია პროგრამის შედეგების ზოგადი მიმოხილვა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მიღებული გამოცდილება.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-4 ფაზა (CDI 4) - BTC/SCP მილსადენების პროექტებისთვის

მიზნები და ძირითადი კომპონენტები

- **სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
 - სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმებისა და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა.
 - 31 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელება.
 - 11 სათემო ორგანიზაციის (CBO) მიერ სოციალური საწარმოების შექმნა, შემოსავალის ზრდისა და მათი სოფლების მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის მიზნით.
 - კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ობიექტებითა და სოციალური საწარმოებით ისარგებლებს 25 ათასზე მეტი ადამიანი.
- **ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
 - მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება აგრობიზნესის გასავითარებლად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა და მოსახლეობისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება.
 - 105 მცირე და საშუალო საწარმოს შექმნა, მინიმუმ 40% ქალების მონაწილეობით;
 - პროგრამით დაფინანსებული ახალი ბიზნესების 70%-ის მომგებიანობის უზრუნველყოფა გახსნიდან 12 თვეში;
 - ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში 3 ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის შექმნა;
 - ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფების მიერ პროექტის ბენეფიციარებს გაეწევათ 36 სახის მომსახურება;

- 100 სადემონსტრაციო ფერმის შექმნა;
- მინიმუმ 150 ფერმერს / პროდუქციის მწარმოებელს (რომელთა 30% ქალია) შეექმნებათ შესაძლებლობა ქალაქებში პროდუქციის რეალიზაციისათვის;
- 1800 ფერმერული მეურნეობა გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე;
- პროექტის სამიზნე თემების მოსახლეობა და 6 სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აიმაღლებენ ცოდნას სასოფლო კოოპერატივების შესახებ მიღებული კანონისა და ფერმართა გაერთიანებებისთვის ამ კანონის უპირატესობის შესახებ
- შეიქმნება 6 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი
- მილსადენების რაიონების ფერმერებზე გაიცემა 470 სუბსიდირებული აგროსესხი;
- მოხდება სამიზნე შინამეურნეობების შემოსავლების 20%-იანი ზრდა.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

პროექტის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ:

2013 წლის ბოლოს, კომპანიამ ტენდერის საშუალებით მოიწვია სამი საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტი, რათა განეხორციელებინა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზის (CDI4) შუალედური შეფასება, დაედგინა პროგრამის ეფექტურობა, გაცნობოდა კრიტიკულ საკითხებს და შედეგებს, მოესმინა რეკომენდაციები საქმიანობის გასაგრძელებლად და დაედგინა სწორი მიდგომები და სტრატეგიები პროგრამის დარჩენილ პერიოდში დასანერგად.

შეფასების ძირითადი მიგნებები:

- სამიზნე სოფლებში საგრძნობლად არის გაზრდილი აგრარული პროდუქტიულობის და მატერიალური უკუგების მაჩვენებლები, შექმნილია მნიშვნელოვანი სოციალური კავშირების ქსელი. პროგრამის ნაციონალიზაციის ფარგლებში შერჩეული ადგილობრივი განმასრვლებელი პარტნიორები წარმატებულები აღმოჩნდნენ.
- პროგრამის მართვის მოდელი ოპტიმალურია, ქმნის კარგ ბალანსს პროგრამის ადგილობრივ საველე ექსპერტებსა და სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. შეიმჩნევა სტრატეგიისა და მექანიზმების გაზიარების და ათვისების მაღალი დონე.
- პროგრამის უწყვეტობამ და მიზანმიმართულობამ შექმნა იმაზე ბევრად მეტი ღირებულება, ვიდრე პროგრამის განხორციელების დანახარჯებია. არის ბევრი სამაგალითო შედეგი, რომელიც მეტყველებს პროგრამის დადებით გავლენაზე, გადალახულია უამრავი დაბრკოლება, მნიშვნელოვანია ის მექანიზმები, რომელსაც პროგრამა იყენებს და რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული შედეგები მაინც კომპანიის მიმართ საზოგადოების დადებით განწყობაშია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა.

მთავარი სირთულეები საანგარიშო კვარტლის განმავლობაში

გასული კვარტალი საკმაოდ დატვირთული იყო, რადგან გამოცხადდა კონკურსები ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და მცირე ბიზნესების დასაწყებად. პროგრამის ფარგლებში, ძირითადად, მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია და განაცხადების ანკეტების გავრცელება სამიზნე სოფლებში, აგრეთვე საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა მოსახლეობასთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტმა გამართა საინფორმაციო შეხვედრები სოფლებში ახლად დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან. პროგრამის მენეჯმენტმა მათ გააცნო CDI პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები, პროგრამის ცალკეული კომპონენტები და დაგეგმილი საქმიანობა.

სტრატეგიული მენეჯმენტი

საანგარიშო კვარტლის დასაწყისში, პროექტის განმახორციელებელმა პარტნიორებმა ჩაატარეს შიდა აუდიტი, მოახდინეს ბიუჯეტში დაზოგილი თანხების გადანაწილება და წარმოადგინეს კორექტირებული წინადადება. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნებში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხდა ზოგიერთი კომპონენტის მასშტაბების გაფართოება, მაგალითად, კორექტირებული წინადადების მიხედვით, შემოთავაზებულია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მეტი პროექტი და მეტი ახალი მცირე ბიზნესის დაწყება, ვიდრე თავდაპირველი წინადადებით იყო გათვალისწინებული.

CDI-ს დასავლეთ ნაწილში, ახალ ფაზაში შევიდა ურთიერთობა CDI პროგრამასა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის. RDA-სა და სათემო ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით, ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გამგეობებმა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში შეიტანეს ახალი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის ერთობლივი პროექტების განხორციელებას, დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ეს არის მნიშვნელოვანი მიღწევა და ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობასა და დონორ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითი, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო ორგანიზებული მიდგომების ჩამოყალიბებას ერთობლივი პროექტების მიმართ, დაგეგმვის პროცესის უკეთ წარმართვას ყველა მხარის მიერ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დროისა და ფინანსების უფრო რაციონალურ გამოყენებას.

რაც შეეხება ურთიერთობას ქვეყნის ცენტრალურ მთავრობასთან, აპრილში, RDA-მ და CTC-მა, BP-სთან მჭიდრო კოორდინაციის პირობებში, მოამზადეს და გააფორმეს „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი“ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. მემორანდუმი ითვალისწინებს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, მეტი კოორდინაციისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

მოსახლეობის ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება, სათემო ორგანიზაციების საქმიანობა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტები

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, პროექტმა გამოაცხადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის გრანტების გაცემის მესამე რაუნდი. მოსახლეობის მობილიზატორების დახმარებით, სათემო ორგანიზაციებმა ჩაატარეს შეხვედრები მოსახლეობასთან და მიაწოდეს მათ ინფორმაცია მომავალი პროექტების შესახებ. გარდა ამისა, პროექტმა გამართა საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ სათემო ორგანიზაციებთან და მისცა მათ ტექნიკური რჩევები ბიზნესწინადადების შედგენის საკითხებზე. პროგრამის სამიზნე სოფლებიდან წარმოდგენილ იქნა 30 წინადადება.

ტექნიკური წინადადებების განხილვის პირველ ეტაპზე შეირჩა 20 წინადადება. ამის შემდეგ, ინჟინრები შეუდგნენ საპროექტო წინადადებების ადგილზე შეფასებას. ამ შეფასების დასრულების შემდეგ, შესარჩევი კომიტეტი ჩაატარებს შერჩევის საბოლოო ეტაპს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 30 პროექტი. ყველა მათგანი გაშვებულია ექსპლუატაციაში და ამ პროექტების შედეგებით სარგებლობს 7 ათასამდე ოჯახი.

სოციალური საწარმოები

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 12 სოციალური საწარმო და ყველა მათგანი აგრძელებს ფუნქციონირებას. სულ 500-ზე მეტი სახის მომსახურების მიწოდება ხდება ამ საწარმოების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მომსახურების დიდი წილი მექანიზებულ მიწის დამუშავებასა და მოსავლის აღებაზე მოდის. საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, ყველა სოციალურმა საწარმომ 30-ჯერ გააუწია მომსახურება 50-მდე ოჯახს. სულ 300-მდე მომსახურება გაეწია 335 ოჯახს.

დახმარება სოფლის მეურნეობის დარგში და ახალი ბიზნესების დასაწყებად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდირებული სესხები, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას

სოფლის მეურნეობა

პროგრამის აღმოსავლეთ ნაწილში, პროექტის აგროკონსულტანტები, ძირითადად, დაკავებული იყვნენ სადემონსტრაციო ნაკვეთების მონახულებით, მათ ასევე ჩაატარეს ჯგუფური ტრენინგები და ინდივიდუალური კონსულტაციები, დაეხმარნენ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შექმნაში. იანვარსა და თებერვალში ინტენსიურად მიმდინარეობდა დასაწყობებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დათვალიერება, საწყობებში არსებული ტემპერატურული და ვენტილაციის რეჟიმების

შემოწმება. მარტში, დაბლობ ზონაში მდებარე სოფლებში, ფერმერებმა დათესეს სტაფილო, ჭარხალი და ხახვის ჭილი, ხოლო მაღალმთიანი ზონის სოფლებში ნაკვეთები ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული.



სულ ჩატარდა 47 ჯგუფური ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პროგრამის 49 სადემონსტრაციო ნაკვეთის ფერმერი და 188 სხვა ფერმერი, პროგრამის მონაწილე სოფლებიდან. 508 ინდივიდუალურ ფერმერს გაეწია კონსულტაცია სხვადასხვა საკითხზე.

სადემონსტრაციო პროექტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფერმერების გაცვლითი ვიზიტები, რომლის დროსაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ გაუზიარონ გამოცდილება სხვა ფერმერებს, დაათვალიერონ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მომწოდებელთა მეურნეობები, გაეცნონ პრეპარატების მომზადებისა და უსაფრთხო მოხმარების წესებს.

პრაქტიკული მაგალითი

სოფელ მინაძეში მდებარე სათბურის თავდაპირველი დანიშნულება იყო ბოსტნეულის მოყვანა და რეალიზაცია, თუმცა პროექტის აგროკონსულტანტის რჩევით, მის ბაზაზე შეიქმნა ადგილობრივი საჩითილე მეურნეობა, რადგან რაიონში ხარისხიან ჩითილზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა.

სადემონსტრაციო საჩითილე მეურნეობის მფლობელის - ვია ზედგინიძის თქმით, პირველი სათბური მან 15 წლის მოაწყო, თუმცა საკუთარი პროდუქციიდან მოგების მიღება შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, რაც CDI4-ის სადემონსტრაციო ფერმერული მეურნეობების პროექტში ჩაერთო. „პროექტის მიერ გრანტის სახით გადმოცემულ ტექნიკასა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ღირებულებაზე ათასჯერ უფრო ღირებულია ის ცოდნა და რჩევები, რომელიც პროექტის ფარგლებში მივიღე. ახლა უკვე შემიძლია უბრალოდ ჩაერთო წვეთოვანი მორწყვის სისტემა და ის თავის საქმეს თვითონ აკეთებს, ჩემი მონაწილეობის გარეშე, მე კი ამასობაში შემიძლია სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე ვაკეთო“, გვეუბნება ფერმერი და ხუმრობს, რომ მობილურზე ზარის დაყენებაც კი ისწავლა, რომელიც მორწყვის დროს ახსენებს.

აგრარული კოოპერატივების შექმნა

იანვარში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა პროექტის წარმომადგენლებსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული აგრარული კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს შორის.

მხარეებმა შეათანხმეს დაინტერესებულ ჯგუფებთან ერთობლივი შეხვედრების გამართვის სავარაუდო გრაფიკი. სააგენტოს ხელმძღვანელის მონაწილეობით, რამდენიმე სოფლის წარმომადგენელს ჩაუტარდა საინფორმაციო სემინარი კოოპერატივების პრინციპების, მათი უპირატესობების, საკანონმდებლო საკითხებისა და საქართველოს მთავრობის კოოპერატივების მხარდამჭერი ინიციატივების შესახებ.

საანგარიშო კვარტალში პროექტმა გამოაცხადა კოოპერატივების შექმნის გრანტების კონკურსი. პროგრამის აღმოსავლეთ ნაწილში მიღებულ იქნა 86 განაცხადი. განაცხადების უმრავლესობა ეხებოდა მეცხოველეობას და ტექნიკის მომსახურებას.

გრანტების კომიტეტმა განიხილა ყველა განაცხადი და შეაფასა ისინი, განაცხადის ფორმაში მითითებული ყველა კრიტერიუმის მიხედვით. მომდევნო ეტაპზე გადასული პროექტების განხილვა მოხდა ადგილზე და მათი წარმომდგენი პირებისთვის, მარტის ბოლოს, გაიმართა ტრენინგი დაფინანსების მოზიდვის საკითხებზე (მათ შორის, საგრანტო წინადადების შედგენისა და პროექტის მენეჯმენტის საკითხებზე) და მათ ეთხოვათ, რომ სრული საპროექტო წინადადებები წარმოადგინონ აპრილში.

ფერმერთა ასოციაცია “სამცხე”

ანგარიშების კვარტალში, ასოციაცია „სამცხემ“ ჩაატარა ნიადაგის თესვის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. ცხრა ჰექტარ ნაკვეთზე დასათესად მომზადდა ჯამში 20 ტონა სათესლე კარტოფილი (10 ტონა „ელიტ“ კლასის, 20 ტონა A კლასის), რომელმაც ასოციაციას შემოდგომაზე საშუალოდ 280 ტონა მოსავალი უნდა მისცეს. ეს 12%-ით აღემატება გასული წლის მოსავალს. წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდას დიდწილად ხელი შეუწყო, RDA-ს დახმარებით, ქალაქებში მოქმედ მომწოდებელ ფირმებთან გაფორმებულმა კონტრაქტებმა.

ბიზნესის წამოწყება

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, პროექტმა გამოაცხადა მცირე ბიზნესების დაწყების საგრანტო კონკურსის მესამე რაუნდი. დაინტერესებულმა მცირე მეწარმეებმა წარმოადგინეს 462 განაცხადი.

შესარჩევმა კომიტეტმა განიხილა ყველა განაცხადი, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, და პირველი რაუნდის

გამარჯვებულად შეარჩია 176 წინადადება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგში.

მონიტორინგის შედეგებმა უჩვენა, რომ ზოგიერთი ბიზნესისთვის საჭირო იყო დამატებითი კონსულტაციების ჩატარება სურსათის უვნებლობის საკითხებზე. შედეგად, პროექტის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა, ადგილზე ჩაუტარა კონსულტაციები გრანტის მიმღებებს, რომლებიც სასურსათო მაღაზიებს ან თონეებს ამუშავებენ.

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, 80-მა მოქმედმა ბიზნესმა მომსახურება გაუწია 2000-ზე მეტ ბენეფიციარს, 86-მა ბიზნესმა შექმნა 46 სრულგანაკვეთიანი სამუშაო ადგილი. ყველა არსებული ბიზნესის ჯამურმა მოგებამ 31,134 ლარი შეადგინა. პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ბიზნესების მიერ მიღებული საერთო შემოსავალი 223,891 ლარს უდრის.

ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფები

საანგარიშო კვარტალი ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ფინანსური და იურიდიული მომსახურების სამივე ჯგუფისთვის, რომლებიც ახალციხეში, ადიგენსა და ბორჯომში მოქმედებენ. ამ ჯგუფებმა 35-ჯერ გაუწიეს მომსახურება გარეშე კლიენტებს და 11-ჯერ – CDI პროგრამის ბენეფიციარებს. მათ მიერ მიღებულმა მოგებამ ჯამში 3760 ლარი შეადგინა.

ბორჯომში მოქმედმა ჯგუფმა ხუთ დაინტერესებულ პირს ჩაუტარა ტრენინგები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის საკითხებზე. ადიგენის ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი მთავრობის მიერ გამოცხადებულ ორ ტენდერში და ორივეში გაიმარჯვა, რაც მას 27,413 ლარის ოდენობის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

მომდევნო კვარტალი

მომდევნო კვარტლისთვის დაგეგმილი სამუშაოები:

CDI 4 – აღმოსავლეთი:

- გამოვლინდება გამარჯვებული სათემო ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდება კონტრაქტები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განსახორციელებლად;
- დაფინანსდება და საქმიანობას დაიწყებს ახალი სოციალური საწარმო;
- ჩატარდება ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგები მცირე მეწარმეებისთვის;
- გაფორმდება ხელშეკრულებები ახალ მცირე მეწარმეებთან;
- ჩატარდება ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგები ფერმერთა ჯგუფებისთვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მიზნით.

CDI 4 – დასავლეთი:

- დაიწყო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საგრანტო კონკურსის მესამე რაუნდის გამარჯვებული პროექტების დაფინანსება და სამუშაოების განხორციელება.
- დაიწყო მცირე ბიზნესების დაწყების კომპონენტის გამარჯვებული პროექტების დაფინანსება და სამუშაოების განხორციელება.
- დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულების დაფინანსება და სამუშაოების განხორციელება;
- დამწეობა ბიზნესებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაეწევათ პროფესიონალური კონსულტაცია.
- ჩატარდება სათემო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ტრენინგები;
- ყველა სადემონსტრაციო ნაკვეთზე დასრულდება თესვის სამუშაოები.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა **SCPX-ის** სამშენებლო ტერიტორიებთან მიმდებარე სოფლებისთვის (**CDI SCPX**)

CDI SCPX პროექტი გულისხმობს თანამშრომლობას იმ 18 თემთან, რომელიც SCPX სამშენებლო დერეფნის სიახლოვეს მდებარეობს.

პროექტის მიზანია, SCPX პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ თემებში შექმნას ჰარმონიული და უსაფრთხო გარემო, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ხელი შეუწყოს „BP საქართველოს“ საზოგადოებრივ იმიჯის შექმნას.

მიზნის მისაღწევად პროექტი მიმართულია ორი კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე, რომელიც მოიცავს თემის განვითარებისთვის საჭირო ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობებს.

- მხარი დაუჭიროს სამიზნე თემებში სამოქალაქო საზოგადოების ეტაპობრივ განვითარებას, თემის შესაძლებლობების გაზრდის გზით, რათა მინიმალური გარე დახმარებით და უმეტესად საკუთარი ძალებით, თემებმა შეძლონ პროექტების განხორციელება და მათი მდგრადობის უზრუნველყოფა.
- სამიზნე თემებში სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესება, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის გზით.

მიზნები და ძირითადი კომპონენტები

სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები

- განხორციელდება 31 სათემო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტი;
- შეიქმნება 17 სათემო ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას;

- პროექტთან თანამშრომლობით ისარგებლებს 3000 ოჯახზე მეტი;
- 40 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდულ ჯგუფებში და განახორციელებს 4 გარემოსდაცვით პროექტს და 30 მცირემასშტაბიან გარემოსდაცვით აქტივობას;
- 40 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას პროექტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო ბანაკში.

ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები

- შეიქმნება 16 სადემონსტრაციო და 40 კომბინირებული საკვების სადემონსტრაციო ფერმა 80 სული საქონლისთვის;
- ჩამოყალიბდება 2 მომსახურების ჯგუფი და 1 რძის შემგროვებელი ცენტრი;
- შეიქმნება 34 მცირე ბიზნესი;
- 76 პოტენციური მეწარმე გაიუმჯობესებს უნარ-ჩვევებს.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

მთავარი სირთულეები საანგარიშო კვარტლის განმავლობაში

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები და რამდენიმე სხვა საქმიანობა დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა ან გადაიდო, უამინდობის გამო.

სათემო ორგანიზაციების ტრენინგი

ტრენინგები ჩაუტარდათ ყველა სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ტრენინგების ძირითადი თემები იყო: გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკულ სიტუაციებში თვითკონტროლის უნარ-ჩვევები, ინფორმაციის ზეგავლენა, ინიციატივის გამოვლენა, თვითდამკვიდრება, პერსონალური და ფუნქციონალური კომპეტენცია, ზრდასრული ადამიანების ქცევითი მახასიათებლები. ტრენინგების მონაწილეები გაეცნენ სათემო ორგანიზაციების არსს, მისი განვითარების ფორმებს, მოსახლეობის მონაწილეობის მნიშვნელობას, სათემო ორგანიზაციის მისიას და ხედვას.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საანგარიშო პერიოდი, ძირითადად, დაეთმო საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მოსახლეობის წარმომადგენლებთან და სათემო ორგანიზაციებთან, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისათვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მეორე რაუნდს.

საგრანტო განაცხადი შეიტანა რვა სათემო ორგანიზაციამ. მოხდა განაცხადების განხილვა და პროექტმა დაიწყო მონიტორინგის ვიზიტები ადგილზე, პროექტების განხორციელებადობის შემოწმების მიზნით.

პირველი რაუნდის შედეგად გამარჯვებული 10 სარეაბილიტაციო პროექტი უკვე დასრულებულია და მათი შედეგებით უკვე სარგებლობს 3057 კომლი. მიმდინარეობს კიდევ 7 პროექტი და დასრულება, როგორც კი კლიმატური პირობები ხელსაყრელი იქნება სამუშაოების ჩატარებისთვის.

ზოგადად, მოსახლეობაში არსებობს მაღალი მოტივაცია, რომ მონაწილეობა მიიღონ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებში. შედეგად, მოსახლეობის მონაწილეობის წილი ამ პროექტებში მოთხოვნილი 25%-ის ნაცვლად 36%-ს შეადგენს.

პრაქტიკული მაგალითი

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეების მშობლებთან და სასწავლო ნაწილის გამგესთან ერთად, ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ გამოეწვინათ სკოლაში არსებული გაუსაძლისი და აუტანელი პირობები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის წევრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

ზოგმა მათგანმა დანაზოგი ფული გაიღო, ზოგმა პირადი ნივთები გაყიდა, რათა შეეგროვებინათ თანხები სასკოლო ოთახებში 1982 წელს დაგებული იატაკის გამოსაცვლელად, რომელიც იმდენად იყო დაზიანებული, რომ საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობას. „იმ პერიოდში, CTC-ს წარმომადგენლებმა ჩაატარეს შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც ითქვა, რომ კომპანია BP ფინანსურად დაეხმარებოდა პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც ჩვენთვის ღმერთისგან გამოგზავნილი საჩუქარი იყო“, მაღლიერებით აღნიშნავს განთიადის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ბატონი ალექსანდრე მარკოიძე.

შეხვედრის დამსწრე ადგილობრივი მაცხოვრებლების უმრავლესობამ ხმა მისცა სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში იატაკის შეკეთების პროექტს. სათემო ორგანიზაციის დიდი ძალისხმევით შედეგად, ეს პროექტი დამტკიცდა, როგორც პრიორიტეტული პროექტი.

პროექტის განხორციელების შედეგად, 15 საკლასო ოთახს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, გაკეთდა იატაკის ახალი ბეტონის მოჭიმვა და დაიგო ლამინირებული იატაკი.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მაღლიერებას და კმაყოფილებას გამოხატავს სუფთა და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნის გამო და ამბობს, რომ მოსწავლეების დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ უკეთესობისკენ შეიცვალა. ისინი უვლიან გარემონტებულ საკლასო ოთახებს და ცდილობენ, რომ მოუფრთხილდნენ ერთობლივი შრომის შედეგს.

სოფლის მეურნეობა

პროექტი აგრძელებს მუშაობას 6 ინდივიდუალურ სადემონსტრაციო ფერმერთან და 11 ჯგუფურ სადემონსტრაციო მეურნეობასთან, რომლებიც 47 ფერმერს აერთიანებს.

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, გაიმართა ვიზიტები სადემონსტრაციო ფერმებში და ჩატარდა ტრენინგები/კონსულტაციები მომავალი საგაზაფხულო მოსამზადებელი სამუშაოების საკითხებზე.

თესვისა და დარგვის სეზონი ახლოვდება და სადემონსტრაციო ფერმერები ამზადებენ სათესლე მასალას და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. აგროკონსულტანტებმა ჩაატარეს ინდივიდუალური კონსულტაციები, შექმნილ საგანგებო სიტუაციებში, და დაეხმარნენ ფერმერებს დასაწყობებული მასალისთვის სათანადო ტემპერატურისა და ვენტილაციის პირობების შერჩევაში.

საანგარიშო პერიოდში, 35-მა ფერმერმა შეისყიდა კომბინირებული საკვები შეღავათან ფასად. მარტის ბოლოსთვის, ბენეფიციარი ფერმერების საერთო რაოდენობა იყო 49.

მომსახურების ჯგუფები

პროექტმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, სამიზნე დასახლებებში მომსახურების ჯგუფების შესაქმნელად.

საანგარიშო კვარტლის ბოლოს, ხუთმა პოტენციურმა მომსახურების ჯგუფმა განსახილველად წარმოადგინა ბიზნესგეგმა. შერჩევა მოხდა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა: განხორციელებადობა, საჭიროება, მომგებიანობა, მომსახურების მოცულობა, ბენეფიციარები და სხვა.

შესარჩევმა კომისიამ განიხილა განაცხადები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა აპლიკანტი დაეშვა ტრენინგზე - „ბიზნესის ადმინისტრირება მომსახურების ჯგუფებისთვის“. სულ 10-მა პირმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგში. ტრენინგის შემდეგ, გრანტის მოპოვების მსურველებმა წარმოადგინეს სრულმასშტაბიანი ბიზნესწინადადებები. კომისიამ შეარჩია ოთხი პროექტი ადგილზე შემოწმებისთვის, რომლის მიზანია დაგეგმილი საქმიანობის შედარება წარმოდგენილ ბიზნესგეგმასთან.

სოფელ უდეში მოქმედმა რძის შემგროვებელმა კოოპერატივმა „ხარება“ გაზარდა რძის შეგროვების მოცულობა და უკვე მიიღო პირველი შემოსავალი. კოოპერატივის მიერ მოხდა 38,289 ლიტრი რძის შეგროვება, 44 ფერმერისგან სოფლებში – უდესა და არალში. კოოპერატივის ჯამურმა შემოსავალმა 37,890 ლარი, ხოლო მოგებამ – 2,696 ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში 44 რძის მწარმოებლიდან თითოეულმა კოოპერატივს 870 ლიტრი რძე ჩააბარა. ყველა მომწოდებლის მიერ მიღებულმა შემოსავალმა, საშუალოდ, 31,601 ლარი შეადგინა.

მცირე ბიზნესების დაწყება

საანგარიშო კვარტალში, პროგრამის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე ბიზნესების საგრანტო კონკურსის მეორე რაუნდი გამოცხადდა. პროექტმა მიიღო 33 განაცხადი. შესარჩევმა კომისიამ ყველა განაცხადი განიხილა, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, და შეარჩია პირველი რაუნდის გამარჯვებულები – 18 მეწარმე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგში.

პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მცირე ბიზნესების სტატისტიკა შემდგენაირია: დაფინანსებულია 17 ბიზნესი, ყველა ამ ბიზნესს მართავს 18 გრანტის მიმღები, სულ 10 ადამიანი არის დასაქმებული ამ ბიზნესების მიერ, რომელთაგან 3 ქალია. ბიზნესების მიერ მიღებული მოგება 1180 ლარს შეადგენს და ისინი 133 ოჯახს უწყვენ მომსახურებას.

ბენეფიციარ მეწარმეებს ჩაუტარდათ ყველა საჭირო კონსულტაცია, მათ შორის, ფინანსური აღრიცხვის საკითხებში. პროექტის აგროკონსულტანტები აგრძელებენ აგრობიზნესების ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას, პროექტის მონაწილე ყველა სოფელში.

პრაქტიკული მაგალითი – სოფელ უდეს რძის შემგროვებელი ცენტრი ხდება მთავარი მიმწოდებელი HACCP სერტიფიკატის მფლობელი საწარმოსთვის

2014 წელს, SCPX CDI-ს დახმარებით, სოფელ უდესში შექმნილი კოოპერატივი „ხარება“, შექმნიდან სამ თვეში გახდა წნისის რძის საწარმოს ერთადერთი მთავარი მიმწოდებელი. ეს საწარმო ფლობს ISO და HACCP სერტიფიკატებს და სურსათის უვნებლობის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობს.

კოოპერატივმა რძის შეგროვება იანვარში დაიწყო და, მარტის ბოლოსთვის, თითქმის 40 ტონა რძე ჩაიბარა 44 ადგილობრივი ფერმერისგან, რომელთაც მიიღეს კომბინირებული საკვები შედავათიან ფასებში, რაც ასევე SCPX CDI პროგრამის ფარგლებში იყო დაფინანსებული. თითოეულმა მომწოდებელმა რძის ჩაბარებით თვეში დაახლოებით 300 ლარი გამოიმუშავა.

კოოპერატივი „ხარება“ ყოველდღიურად იბარებს რძეს ადგილობრივებისგან და შემდეგ უბრუნებს მათ ყველის წარმოების ნარჩენ პროდუქტს – რძის შრატს, რომლითაც მოსახლეობა გოჭებს კვებას. კოოპერატივის სატვირთო მანქანა, პარალელურად, არიგებს კომბინირებულ საკვებს, რომელსაც მოსახლეობა, პროგრამის ფარგლებში, შედავათიან ფასში იღებს.

კოოპერატივ „ხარებას“ დირექტორი პავლე მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია შემგროვებელი ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებით. მისი თქმით, უდეს დიდი სოფელია და ერთ-ერთი პირველია რეგიონის მასშტაბით, ერთი მოსახლის საკუთრებაში მყოფი

პირუტყვის სულადობის მიხედვით, თუმცა სოფლის მოსახლეობა ადრე რძეს არ აბარებდა. ნაცვლად ამისა, ისინი ამზადებდნენ და ყიდდნენ ყველს ადგილობრივ ბაზრებზე, რითაც უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებდნენ, ვიდრე ჩვენ ვთავაზობთ.

„მე თვეში ორჯერ, დადგენილ დღეებში, ვიღებ ჩემს კუთვნილ თანხას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემს ოჯახს არ სჭირდება რძის გატანა და რეალიზაცია და შემოსავალს პირდაპირ სახლში იღებს“, ამბობს ვანო ყულიჯანიშვილი, უდეს რძის შემგროვებელი ცენტრის ერთ-ერთი მიმწოდებელი.



ქ. რუსთავის მე-18 და მე-19 მიკრორაიონების მოსახლეობა აგრძელებს თანამშრომლობას პროექტთან. ამ დასახლებებში გამოცხადდა ბიზნესგრანტების მეორე რაუნდი. ბიზნესპროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა აპრილი.



რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მე-10 და 28-ე საჯარო სკოლებში დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობისთვის გათვლილი პროექტები.

გამოცხადდა მიკროგრანტების კონკურსი სკოლების მოსწავლეებისთვის და წარმოდგენილ იქნა წინადადებები. ორივე მონაწილე ჯგუფმა მიიღო გრანტი და დაფინანსება პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, მე-10 სკოლის პროექტი - „გავალამაზოთ ჩვენი სკოლა“ - ითვალისწინებს რეკრეაციული ზონის შექმნას სკოლის შენობაში. 28-ე სკოლის პროექტი სახელწოდებით - „ვიცხოვროთ უკეთეს გარემოში“ ითვალისწინებს რეკრეაციული ზონის მოწყობას სკოლის შენობის ირგვლივ.

მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფებმა განახორციელეს 17 მცირემასშტაბიანი გარემოსდაცვითი ინიციატივა, მათ შორის: „ისტორიები ბუნებრივი კატასტროფების შესახებ“, „ჩემი ნახშირორქანის კვალი“, „დღეს რა სასარგებლო საქმე გავაკეთე?“, „რომელი სტიქია ვარ?“, „მდინარის სიცოცხლე“ და „ენერგოდებატები“.



მომდევნო კვარტალი

CDI SCPX – დასავლეთი

- ჩატარდება სათემო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების ამაღლების ტრენინგი;
- დაფინანსდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საგრანტო კონკურსის მეორე რაუნდის გამარჯვებული პროექტები;
- ყველა დამწყები ბიზნესი დაიწყებს ფუნქციონირებას;
- ჩატარდება თესვის სამუშაოები ყველა სადემონსტრაციო ნაკვეთზე;
- ჩატარდება მიმდინარე სამუშაოების კვარტალური კვლევა.

CDI SCPX – აღმოსავლეთი

- გაფორმდება ხელშეკრულებები სათემო ორგანიზაციებთან ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განსახორციელებლად.
- დასრულდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტების განხორციელება.
- გაფორმდება ხელშეკრულებები შერჩეულ მომსახურების ჯგუფებთან.
- ჩატარდება ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგები კონკურსის გამარჯვებული მეწარმეებისთვის.

CDI SCPX – რუსთავი

- ჩატარდება მცირე ბიზნესების დაწყების გრანტების კონკურსის მეორე რაუნდი და წარმოდგენილი წინადადებების განხილვა;
- კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადაყვანილ მეწარმეებს ჩაუტარდებათ წინადადებების შედგენის ტრენინგი;
- განხორციელდება გარემოსდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებული საქმიანობა;
- განხორციელდება მიკროგრანტების პროექტი.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა WREP მილსადენის მიმდებარე სოფლებისთვის

2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოში WREP მილსადენის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა BTC და SCP მილსადენებისთვის შექმნილი პროგრამის მართვის ერთიან სტრუქტურაში მოქცეულიყო. შედეგად, სატენდერო წინადადებების მოთხოვნის (RfP) პროცესის ფარგლებში, პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. პროექტის სამიზნე მიმართულებად განისაზღვრა ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

“ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის” განხორციელება 2010 წლის მაისში დაიწყო. სატენდერო პროცესის მეშვეობით, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციად შეირჩა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სკაუტური მოძრაობა“, რომელიც პროექტის ფარგლებში თანამშრომლობდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - “ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრთან”.

პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის მაისი. პროექტის მთლიანმა ბიუჯეტმა 482,013 აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც BP-ის მიერ ამ პროექტის განსახორციელებლად 299,923 აშშ დოლარი გამოიყო. 173,490 აშშ დოლარის თანადაფინანსება გამოიყო სკაუტების ადგილობრივი ორგანიზაციისა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის –

„ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის“ (CTC) მიერ, აგრეთვე „შვეიცარიის მეგზურებისა და სკაუტების მოძრაობასთან“ ერთად განხორციელებული პროექტის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, დამატებით, BP-ის მიერ, 55,500 აშშ დოლარი გამოყოფილი დამატებითი ღონისძიებებისათვის, მათ შორის, მეორე საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად და აგრეთვე სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ჩასატარებლად პროექტის მონაწილე სკოლების მასწავლებლებისთვის. პროექტის ყველა ეს დამატებითი ღონისძიება დაიგეგმა სამიზნე სკოლებისა და ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად, პროექტი გაგრძელდა 2012 წლის ივნისის ბოლომდე.

2012 წლის მე-3 კვარტალში კომპანიამ ხელახლა გამოაცხადა ტენდერი WREP მილსადენის გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ახალი პროექტების განმახორციელებელი პარტნიორის გამოსავლენად.

WREP მილსადენის მთელი მარშრუტის მიმდებარე სოფლებში დაიგეგმა “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი” (SBDP), რომლის განმახორციელებელ პარტნიორად ტენდერის გზით შეირჩა საქართველოს სკაუტური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაცია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2012 წლის ოქტომბერში და მისი დასრულება 2015 წლის დეკემბრის ბოლოს იგეგმება. პროექტის მიმდინარეობისას წარმოიშვა რამდენიმე სირთულე, კერძოდ: 1) ზოგიერთმა ბიზნესმა ფუნქციონირება დაიწყო მოგვიანებით, მისი სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, რითაც შემცირდა ერთწლიანი მონიტორინგის პერიოდი, რომელიც საჭირო იყო მათზე დაკვირვების, კონსულტაციების გაწევისა და განვითარებისათვის. 2) დაფინანსებული ბიზნესების წარმატებული ფუნქციონირებისათვის, გამოიკვეთა პროფესიული და აგრარული სფეროს ტრენინგების/კონსულტაციების საჭიროება, რომლებიც არ იყო დაგეგმილი. ბენეფიციარების მხრიდან მუდმივად იყო მოთხოვნა სპეციალიზებულ ტრენინგებზე. 3) იძულებით გადაადგილებულ პირთა მხრიდან იყო მაღალი მოთხოვნა, რომ მათი დასახლებების ახალგაზრდობას მონაწილეობა მიეღო მინიმუმ კიდევ ერთ საზაფხულო ბანაკში და გაეღრმავებინა ცოდნა გარემოს დაცვის დისციპლინებში და ასევე კავშირები თავიანთ თანატოლებთან.

პროექტის მთლიანი ღირებულება 1,538,008 აშშ დოლარია, აქედან BP-ის დაფინანსება 1,448,473 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო სკაუტური მოძრაობის თანადაფინანსება – 89,535 აშშ დოლარს უდრის.

პროექტი მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას და განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობს WREP მილსადენის 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს), სამიზნე სოფლების სიაში ასევე აღმოჩნდა რამდენიმე სოფელი, რომლებიც BP-ის მიწისზედა ობიექტებთან მისასვლელი გზების 4 კმ სიგანის დერეფანში მდებარეობენ (2კმ გზის თითოეულ მხარეს), და რამდენიმე სოფელი, რომლებიც კომპანიის რაიმე ინტენსიური ოპერატიული საქმიანობის მიმდინარეობის გამო ითვლებიან ზემოქმედების ქვეშ არსებულ ტერიტორიებად.

სამიზნე სოფლების გარდა, პროექტი ასევე ხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხ დასახლებაში, რომლებიც WREP მილსადენიდან 2 კმ სივანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს) მდებარეობენ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა, ძირითადად, მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნის ამაღლებას და მათი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვემოთ აღწერილია მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები.

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი (SBDP) – მიზნები და ძირითადი კომპონენტები

- მილსადენის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის შესაძლებლობების შექმნა, რათა მათ განავითარონ მცირემასშტაბიანი აგრო და ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ცოდნისა და საშუალებების გადაცემის გზით.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა 4 სამიზნე დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებთან ერთადგარემოსდაცვითი საგანმათლებლო ინიციატივების განხორციელება, გარემოს დაცვის სფეროში მოსწავლეებისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემა, რაც შეცვლის მათ დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოს მიმართ.
- ორგანიზაცია “საქართველოს სკაუტური მოძრაობის” შესაძლებლობების განვითარება, რათა მოხდეს მათ მიერ გაწეული ხარისხიანი სერვისების დივერსიფიკაცია.

პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი მთავარი შედეგებია:

- 275 ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნა, რომელთაგან მინიმუმ 75% უნდა გახდეს ფინანსურად მდგრადი, რათა შეძლოს ბიზნესის გაფართოება და შემდგომი განვითარება, მიღებული მოგების რეინვესტირების გზით;
- მინიმუმ 275 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;
- გრანტების 50% გაცემა ბიზნესის დაწყების მსურველ ქალებზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის “მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის” გაცნობა.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

მთავარი სირთულეები:

დიდთოვლობის გამო, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონის რამდენიმე სამიზნე სოფელში შეუძლებელი იყო აქტივობების განხორციელება.

ჩატარებული საქმიანობის დეტალური მომიხილვა, მიღწევები და შედეგები:

საანგარიშო კვარტალში 260-მა ახალმა ბიზნესმა მიიღო გრანტი. დანარჩენი ბიზნესების დაფინანსება მომავალ კვარტალში იგეგმება.

ბენეფიციარების მიერ წარმოებული საბუღალტრო წიგნებიდან აღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ყველა დაფინანსებული ბიზნესი ამ პერიოდში სულ 6734 კლიენტს მოემსახურა (როგორც ადგილობრივად, ისე მეზობელ სოფლებსა და ქალაქებში).

52 ახალი მომსახურების ობიექტი შეიქმნა სოფლებში, რომლებშიც არ არსებობს პირველადი სოციალური და ეკონომიკური მომსახურების ობიექტები. სოფლების მოსახლეობას მათივე სოფლებში მომსახურებას უწევენ პროგრამის ფარგლებში გახსნილი მაღაზიები, სიღამაზის სალონები, სამკერვალოები, თონეები, კაფეები, წისქვილები და ვეტერინარული სამსახურები. ზოგიერთი მათგანის მომსახურებით მეზობელი სოფლების მოსახლეობაც სარგებლობს, რადგან მათ სიახლოვეს ეს ობიექტები ხელმისაწვდომი არ არის.

პროგრამის ბენეფიციარების მიერ, საანგარიშო პერიოდში, დასაქმდა 435 პირი, აქედან 336 არიან ოჯახის წევრები, ხოლო 99 – გარეშე პირი. 23 მათგანი მუდმივად არის დასაქმებული, ხოლო 76 – მხოლოდ სეზონური სამუშაოების პერიოდში.

136 ბიზნესი უკვე იღებს მოგებას, გასულ კვარტალში მათ მიერ მიღებულმა მოგებამ დაახლოებით 77 ათასი ლარი შეადგინა.



იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში გამოცხადდა ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი მიკროგრანტების მეორე კონკურსი. ახალგაზრდების ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ოთხი წინადადებიდან დაფინანსება მიიღო ოთხივე მათგანმა.

მოსწავლე ახალგაზრდების ჯგუფების მიერ გამხორციელდა 13 მცირე ეკოლოგიური საქმიანობა. ეს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც სკაუტური მოძრაობის მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ არის შემუშავებული, შეეხება გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს და მოსწავლეებს ასწავლის ურთიერთობას გარემომცველ ბუნებასთან და მის მოფრთხილებას. ზოგიერთი ეს საქმიანობა ტარდება შენობაში, ზოგი – ბუნებაში და ყველა მათგანი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ შეიმეცნონ ბუნების სამყარო.

პრაქტიკული მაგალითი

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტმა ოჯახი გააერთიანა

პროექტში ჩართული სოფლის - ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალიას მცხოვრებმა ხათუნა კვერენჩხილაძემ, მცირე ბიზნესის გრანტების პროგრამის ფინანსური დახმარებით, მაღაზიის ბიზნესი წამოიწყო. მთელმა ოჯახმა დიდი შრომა გასწია პატარა მაღაზიის გემოვნებით მოსაწყოებად. ეს სოფელში გახსნილი პირველი მაღაზიაა და სოფლის მაცხოვრებლები ძალიან კმაყოფილები არიან, რომ დიდი მანძილის გავლა არ უწევთ, ყოველდღიური მოხმარების საგნების შესაძენად.

ვიდრე ხათუნა მაღაზიის ბიზნესს დაიწყებდა, მისი მეუღლე – ილია თევზაძე სამუშაოდ თურქეთში გაემგზავრა, თუმცა ახალი საოჯახო ბიზნესის წყალობით, ის თავის ოჯახს და სოფელს დაუბრუნდა. ახლა ის აქტიურად ეხმარება მეუღლეს ბიზნესში, ამარაგებს მაღაზიას და ემსახურება თანასოფლელებს.

„ორივე ძალიან ჩართულები ვართ ამ ბიზნესში. იმედი მაქვს, მაღაზიის ასორტიმენტი და შემოსავალი თანდათან გაიზრდება. ჩვენი მეზობლებიც ძალიან კმაყოფილები არიან, რომ სოფელში მაღაზია არსებობს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის, ამ ბიზნესის წყალობით, ჩემი ქმარი შინ დაბრუნდა“, ამბობს ხათუნა კვერენჩხილაძე .



მომდევნო კვარტალი

- ჩატარდება ბიზნესსაქმიანობის მონიტორინგი და კონსულტაციები;
- ჩატარდება ტრენინგი ბენეფიციარებისთვის საგადასახადო საკითხებში;
- განხორციელდება საქმიანობა გარემოსდაცვითი პროგრამების ფარგლებში;
- განხორციელდება მიკროგრანტებით დაფინანსებული გარემოსდაცვითი პროექტები.

აკრონიმები

BTC/SCP	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი/სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
SCPX	სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოება
WREP	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი
CDI	ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა
CIP	საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა
FtM	ფერმერები და ბაზარი
YCBP	ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი
SBDP	მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RDA	რეგიონალური განვითარების ასოციაცია
CTC	ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი
RFP	სატენდერო წინადადებების მოთხოვნა
CBO	სათემო ორგანიზაცია
FLSG	ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები

დასასრული